საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბეღლეთი

ბეღლთეი, სოფელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ქვიშხეთის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), ლიხის ქედის აღმ. კალთაზე. ზ. დ. 800 მ, ხაშურიდან 16 კმ, ლიხიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 2 კმ. 22 მცხ. (2014).

ბ. პირველად ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.) აქვს მოხსენიებული. ბ. გვიანდ. შუა საუკუნეებში სათავადო სააბაშიოს ქართლის კუთვნილ ნაწილში შედიოდა. 1865 თავისი 7 კომლით სურამის უბნის ქვიშხეთის სასოფლო თემს ეკუთვნოდა.

სოფლის მახლობლად, ჩრდ.-დას-ით, სასაფლაოზე დგას წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია (XX ს.), წმ. გიორგის კიდევ ერთი ეკლესია (XIX ს.) დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, მეორე სასაფლაოზე.

ჯ. გვასალია